სახეზე გვაქვს რუსეთის იმპერიაში საქართველოს შეყვანის მცდელობა, რაც გახმოვანებულია სხვაგვარად!

გაზეთი "ასავალ-დასავალი", 21-27 იანვარი, № 3, 2008

პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაცია შედგა, ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე" უკვე დაიწყო. სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირებები, მართალია, მეტად მომხიბვლელია, მაგრამ არის თუ არა რეალური? რატომ უნდა გვჯეროდეს, ან რატომ არ უნდა ვირწმუნოთ ეს მომხიბვლელი სლოგანები, ლოზუნგები თუ დაპირებები? რა გველის 2008 წელს და საერთოდ რა პერსპექტივები აქვს საქართველოს ეკონომიკას უახლოეს მომავალში? ამ საკითხებზე „ასავალ-დასავალის" მკითხველს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავა ესაუბრება.

/ ბატონო ლადო, ხალხი უკვე ელოდება ლოზუნგის „საქართველო სიღარიბის გარეშე" შესრულებას. თქვენი გათვლებით, რამდენ ხანშია შესა)ლებელი ამ დაპირების შესრულება?

/ საქმე იმაშია, რომ „საქართველო სიღარიბის გარეშე" ოღონდ, როგორც შესრულებული ლოზუნგი საქართველოში უკვე გამოცხადდა.

/ სავალუტო ფონდის განცხადებას გულისხმობთ?

/ ძალიან კარგია, რომ ამას ყურადღება მიაქციეთ. ეს იყო 2007 წლის სექტემბერში, როცა სავალუტო ფონდმა აღნიშნა, რომ საქართველოში წარმატებით განხორციელდა „სიღარიბის დაძლევის პროგრამა" და მთავრობამაც ეს წარმატებით გააპიარა, თუმცა საზოგადოებამ ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება, რადგან მაშინ პოლიტიკური თემები უფრო აქტუალური იყო, ოქრუაშვილის პარტიის შექმნაზე იყო მთელი ყურადღება გადატანილი.

/ იქნებ, აგვიხსნათ, რას ნიშნავდა სავალუტო ფონდის განცხადება?

/ საქართველოში „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამა"ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობის დროს დაიწერა. თავიდან მასში მთავრობა მონაწილეობდა, მაგრამ თავი ვერ მოაბა და ამ დოკუმენტის ორგანიზაციული ხელმღვანელობა დაევალა პრეზიდენტ შევარდნაძის თანაშემწეს ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიას. მთავრობას უნდა მიეწოდებინა შესაბამისი მასალები, ხოლო ტექსტი უნდა მოემზადებინათ ქართველ ექსპერტებს უცხოელი ექსპერტების დახმარებით. ამ დროს მთავრობას კარგა ხნის ჩამოშორებული ვიყავი და მიმიწვიეს, როგორც ექსპერტი. დოკუმენტი მომზადდა, იყო დისკუსიები, განხილვები

და 2003 წლის ივნისში, ედუარდ შევარდნაძემ ეს პროგრამა დაამტკიცა. პროგრამის ამოქმედება უნდა დაწყებულიყო პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე, მაგრამ იმ პირობებში, როცა იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი მოჯირითე უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფო მოხელე, რომელი პროგრამის შესრულებაზეა საუბარი? ასე რომ, პროგრამა უკვე აგვისტოს თვეში ჩავარდა.

შევარდნაძის მთავრობის სისუსტე იყო სწორედ მიზეზი იმისა, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა. მოვიდა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ზურაბ ჟვანია ჩაუდგა. ამ მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიდანვე შეძლეს ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზება, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციებს კვლავ დაეწყოთ ამ პროგრამის ამოქმედებაზე მუშაობა, მაგრამ შევარდნაძისდროინდელი პროგრამა მოითხოვდა სერიოზულ გადახედვას, რადგან ჯერ ერთი, რომ მასში რევოლუცია ვერ იქნებოდა გათვალისწინებული და მეორეც, რევოლუციამ მოიტანა სერიოზული ცვლილებები მთავრობის სტრუქტურაში. რატომღაც პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ამ პროგრამაზე მუშაობა არ მოინდომა, უფრო მეტიც, გადაწყვიტეს, რომ შეიძლებოდა მუშაობა პროგრამის გარეშე, თუმცა, მასზე უარი არ უთქვამთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს და 2007 წელს გამოაცხადეს, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამა წარმატებით შეასრულეს, მაგრამ რომელი პროგრამა? რომელიც შევარდნაძის დროს დაიწერა და რომელიც თავიდანვე მკვდრადშობილი აღმოჩნდა მთავრობის უუნარობის გამო? რომელ პროგრამაზეა საუბარი? ეს არავინ არ იცის. თუმცა, პიარისათვის შესანიშნავი თემაა.

ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. როცა „სიღარიბის დაძლევის პროგრამა“ იწერებოდა, დაისვა საკითხი, რომ გარკვეულიყო რა დონეზეა საქართველოში სიღარიბე. დათვალეს და აღმოჩნდა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 52% ცხოვრობს. რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ მოიფიქრა, რომ შეეცვალა საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია. რატომ? ამასაც ახლავე მოგახსენებთ. გახსოვთ, ჯერ კიდევ 2003 წლის დასაწყისში პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მინიმალური ხელფასის აყვანა საარსებო მინიმუმის დონეზე. საარსებო მინიმუმი კი115 ლარი გახლდათ. აღნიშნული იდეის მომხრეები იძახდნენ, ამის გაკეთება სწრაფად შეიძლებაო, თუმცა, თავადაც იცოდნენ, რომ სწრაფად ეს არ გაკეთდებოდა, ამიტომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია შეცვლილიყო. მოგვიანებით მინიმალური ხელფასის ცნება საერთოდ ამოაგდეს ხმარებიდან. მათ საარსებო მინიმუმის გადათვლისას სამომხმარებლო კალათაში შეამცირეს კალორიულობა და კიდევ ერთი ეშმაკური ფანდი გააკეთეს, საბაზრო ფასების ნაცვლად, საბითუმო ფასები აიღეს. ამის შემდეგ გამოაცხადეს, რომ 2004 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო მოსახლეობის 35

პროცენტი. ამას ყველა დიდი ოვაციით შეხვდა, სიამაყით გამოაცხადეს, რომ რევოლუციურმა მთავრობამ სიღარიბე 17 **პროცენტული პუნქტ**ით შეამცირა, მაგრამ 2005 წელს, როცა ეს ყველაფერი ისევ დათვალეს, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ შემუშავებული გადათვლის ახალი მეთოდოლოგიითაც კი სიღარიბის ზღვარი 39 პროცენტამდე გაეზარდათ. 2006 წელს ეს მონაცემები საერთოდ არ გამოაქვეყნეს, ჩემი ინფორმაციით, მათ მიერ შემუშავებული ახალი მეთოდოლოგით სიღარიბის ზღვარი 2006 წელს 42 პროცენტამდე გაეზარდათ. ყველაზე მეტად გაოცებული დავრჩი 2007 წლის ზაფხულში მიხეილ სააკაშვილის განცხადებით და ნოემბრის დღეებშიც ამას ხშირად იმეორებდა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარი 28 პროცენტამდე შემცირდა. საიდან მოიტანა ეს რიცხვი, ნამდვილად არ ვიცი. ასე თუ ისე, როგორც გითხარით, პიარისათვის სიღარიბის დაძლევა ძალიან კარგი თემაა. შინაარსობრივად კი, აბსოლუტური სიღარიბე დაძლევადია და აქამდეც უნდა დაძლეულიყო საქართველოში. აბსოლუტური სიღარიბე ნიშნავს, როცა ერთი ადამიანი დღეში 2 დოლარ**ზე ნაკლებს** მოიხმარს, თუ ადამიანი დღეში 1 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს ეს უკვე სიღატაკეა.

/ პრეზიდენტი სააკაშვილი ასევე საუბრობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე.

/ ეს ციცხალი კურიოზია. სააკაშვილი ამბობს, ჩემი არჩევის შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტი 5 წელიწადში უნდა გასამმაგდესო. იგივე გაიმეორა ლადო გურგენიძემ და როცა ბიუჯეტის პროექტი იხილებოდა, გააჟღერა ნიკა გილაურმაც. რას ნიშნავს მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდა? ეს ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. 5 წელიწადში მთლიანი შიდა პროდუქტის გასამმაგება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 24-25 პროცენტი იქნება. ამ დროს 2008 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 6 პროცენტით არის გათვალისწინებული. როცა სესიაზე ფინანსთა მინისტრს შევეკითხე, როგორ აპირებთ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას-მეთქი, მან მიპასუხა, რომ ისინი ამას ანგარიშობენ არა ისე, როგორც მიღებულია მთელს მსფოლიოში, არამედ ამაში ითვალისწინებენ ინფლაციასაც და გაცვლით კურსსაც. მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს, განვმარტავ: რაც უფრო მაღალი იქნება ინფლაცია, მით უფრო სწრაფი იქნება **ამგვარად გაანგარიშებული** მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა. ასე ეკონომიკის ზრდას არავინ ანგარიშობს. პირველი კურსის სტუდენტსაც კი ასწავლიან, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გაიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში და იმის მიხედვით, თუ რამდენად გაიზარდა წარმოება. ამათი საუბარი კი რეალურად პიარისტული დანიშნულების ფანდია, ისეთივე ბლეფია, როგორც ის, რომ საქართველოში სიღარიბე შემცირდა. ეს არის ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა.

/ ბატონო ლადო, მე მახსოვს, როცა ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რომან გოცირი)ემ რამოდენიმე წლის წინ განაცხადა, ლარის კურსი არ დაეცემაო. მან ეს სიტყვა შეასრულა. დღეს ამაყობენ, რომ ლარი არის მყარი. როგორ მოხერხდა ეს, როცა ქვეყანაში ეროვნული წარმოება არ არის?

/ ლარის გამყარება დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. გახსოვთ, მაშინ 1 დოლარი ღირდა 2 ლარი და 20 თეთრი. დღეს ერთი დოლარი 1 ლარსა და 60 თეთრზე ნაკლები ღირს. ამას, რაც ქართულ ეკონომიკაში ხდება, ჰოლანდიური დაავადება ჰქვია და ახალი სულაც არ არის. როცა ქვეყანაში დიდი ოდენობით შემოდის უცხოური ვალუტა, მისი თანაფარდობა ადგილობრივ ვალუტასთან იმდენად დიდია, რომ იგი უფასურდება და ეროვნული ვალუტა მყარდება. უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოსვლა საქართველოში განსაზღვრა ბევრმა ფაქტორმა. დავიწყოთ იმით, რომ ყოფილ კორუმპირებულ ჩინოსნებს თავისუფლების სანაცვლოდ ანდევინებდნენ ფულს. მათ დანაზოგი უცხოურ ვალუტაში ჰქონდათ, სახელმწიფოსათვის კი უნდა დაებრუნებინათ ლარი, ამდენად მოთხოვნა გაჩნდა ლარზე. 2006 წელს 2001 წელთან შედარებით გაიზარდა უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი გადმორიცხვები, რაც, ბუნებრივია, დოლარში ხდება. დიდი ოდენობით დოლარი შემოვიდა პრივატიზაციებიდან. ამან გამოიწვია ლარის გამყარება, ეს ობიექტური პროცესია და არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ხელოვნურად ამყარებდა ლარს.

/ ახალი პრემიერ-მინისტრი საუბრობს პროფიციტურ ბიუჯეტზე. აუხსენით მკითხველს, რას ნიშნავს ეს და შესაძლებელია თუ არა დღეს საქართველოში პროფიციტური ბიუჯეტი?

/ პროფიციტური ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტში შემოსავლები უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ხარჯები. პრაქტიკულად საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ სახელმწიფომ მეტი უნდა ამოიღოს, ვიდრე დახარჯოს და ფულის მეტი მასა შეინახოს, რომ ინფლაცია არ იყოს მაღალი. ჩვენი მთავრობა ამას არ აკეთებდა, ბიუჯეტი იყო დეფიციტური, ხაჯები იყო ძალიან მაღალი. თანაც ეს იყო ისეთი ხარჯები, რომელიც ეკონომიკაში იწვევს ინფლაციას. მაგალითად, ეკონომიკა გზების გარეშე ვერ განვითარდება, მაგრამ გზები დადებით შედეგს შემოსავლების თვალსაზრისით იძლევა აშენებიდან 2-3 წლის შემდეგ. მშენებლობის პროცესში ეს არის ინფლაციური, თუმცა, აუცილებელი ხარჯი, მაგრამ სულ არ არის აუცილებელი შადრევანი ან ერთხელ გაკეთებული გზის მეორედ და მესამედ დაგება, ან ისეთი ფსევდოპროგრამები, როგორიც იყო დასაქმების პროგრამა, რომელიც სინამდვილეში იყო შემწეობის გაწევა. ყოველივე ეს, რაც ჩამოვთვალე იწვევს ინფლაციას.

რაც შეეხება ლადო გურგენიძის განცხადებას, მან თქვა, რომ ბიუჯეტში ხარჯებთან შედარებით მეტი შემოსავლები უნდა იყოს 2009 წლიდან, მაგრამ 2008 წლის ბიუჯეტში ჩაჯდა პროფიციტი. აქაც ისეთივე ციფრებით მანიპულაცია მოხდა,

როგორც სიღარიბის ზღვარის გახსაზღვრის შემთხვევაში. საქმე იმაშია, რომ 2008 წელს შეცვალეს ბიუჯეტის დათვლის მეთოდოლოგია, ძალიან ბევრი პარამეტრი, რომელიც უნდა იყოს ხარჯებში, ჩასვეს შემოსავლებში. ძველი მეთოდოლოგიით თუ გადავთვლით, აღმოჩნდება რომ ბიუჯეტი მაღალშემოსვლიანი კი არა, რეალურად დეფიციტურია და დეფიციტი შეადგენს 189 მილიონი ლარს.

/ რას იტყვით თავად ლადო გურგენიძის შესახებ?

/ თავიდან დიდი იმედით შევყურებდი მას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანის პროფესიონალიზმის მიმართ წარმოდგენა მეკარგება. მას პარლამენტში დავუსვი ასეთი შეკითხვა, როცა პრემიერ-მინისტრად მოდიოდა ჰქონდა თუ არა მცდელობა, რომ შეეცვალა ეკონომიკური ბლოკის მინისტრები და სააკაშვილმა არ დააკმაყოფილ ეს, თუ თუ მას ასეთი მცდელობა არ ჰქონია? გურგენიძემ მიპასუხა, რომ მას ასეთი მცდელობა არ ჰქონია და ძალიან მოსწონს პრეზიდენტის ეკონომიკური გუნდი, ანუ მან პრაქტიკულად თქვა, რომ იგი არის ბენდუქიძის თანამოაზრე, მას მოსწონს ფინანსთა სამინისტროს მუშაობა, მოსწონს როგორ ართმევდა ხალხს ქონებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მისი ხელახალი პრივატიზაციის **მიზნით.** მას მოსწონს ბენდუნომიკა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ციფრებით მანიპულაცია, ბენდუნომიკა არის ის, როცა გეუბნებიან, რომ თურმე საქართველო ბიზნესის წარმოებით მსფოლიოში მე-18 ადგილზეა, საცოდავი გერმანია კი მე-20-ზე, ბენდუნომიკა არის გაუმჭირვალე პრივატიზაცია, რუსული კაპიტალი და ძალიან ბევრი **მსგავსი** რამ. 2004 წელს კახა ბენდუქიძემ დიდი ზარზეიმით დაანგრია ანტიმონოპოლიური სამსახური, თქვა, რომ ასეთი მცირე ზომის ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახური საჭირო არ არის. შეგახსენებთ მთავრობის სხდომას, სადაც ასევე დიდი ზარზეიმით გამოაცხადეს, თუ როგორ დაძლია შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონოპოლია მარილზე . იმ დღესვე ამ უწყებას დაევალა, რომ უნდა ებრძოლოს მონოპოლიას შაქარზე. პრეზიდენტს იმ დღეს არ უკითხავს, გვაქვს თუ არა მონოპოლიების მარეგულირებელი ორგანო, თუ არ გვაქვს, რატომ არ გვაქვს? რა შუაშია ამ ფუნქციის გადაცემა შსს-თვის? ახლა სამიზნედ აღებულია ეროვნული ბანკის დანგრევა. მას არ ჰყავს პრეზიდენტი და გადასარევი დროა დასანგრევად. რატომ უნდათ მისი დანგრევა? არ ვიცი! არ მინდა ვიფიქრო, რომ ვიღაცა კრემლის აგენტია, ვიღაცა გამიზნულად აკეთებს ამას, მაგრამ ალბათ, არც უამისობაა.

/ კრემლი ახსენეთ და სულ მაინტერესებს, პრივატიზაციების დროს შემოდის დიდი ოდენობით რუსული სახელმწიფო კაპიტალი, ამ დროს ეს ხდება რუსეთის მუდმივი ლანძღვა-გინებისა და და)აბული ურთიერთობის ფონზე. რით შეიძლება ამის ახსნა?

/კარგი შეკითხვაა. მეც მაინტერესებს, ხომ არ არის რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა ნიღაბი იმისა, რომ ყურადღება გადატანილ იქნას სხვა რამეზე და მიიჩქმალოს ის, რაც რეალურად ხდება? 2003 წლის შემოდგომაზე ანატოლი ჩუბაისმა გამოაქვეყნა სტატია „რუსეთის მისია 21-ე საუკუნეში“, სადაც ის ამბობს, რომ რუსეთი ვერც ევროკავშირში ვერ შევა და ვერც ნატოში, ამიტომ რუსეთმა უნდა შექმნას ლიბერალური იმპერია, რისთვისაც უნდა გამოიყენოს არა შეიარაღებული ძალები, არამედ ეკონომიკური მექანიზმი, მიიღოს მონაწილეობა პრივატიზაციაში, იყიდოს აქტივები. რუსეთმა მართლაც დაიწყო ამ იმპერიის შექმნა და მასში მოაქცია სომხეთი, მაგრამ სომხეთთან ერთიან სივრცეს ვერ ქმნის, რადგან მოსაზღვრე სახელმწიფო არ არის. დადგა საქართველოს ან აზერბაიჯანის ამ სივრცეში მოქცევის პრობლემა. ჩუბაისის ნათქვამი გაიმეორა პუტინმაც და სხვა რუსმა პოლიტიკოსებმაც გააჟღერეს. ჩვენ დღეს სახეზე გვაქვს საქართველოს ჩართვა რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში, რაც გახმოვანებულია სხვაგვარად. თუ რუსეთში ქართული პროდუქცია აიკრ)ალა, რატომ შემოდის რუსული კაპიტალი საქართველოში? მთავარი ის კი არ არის, რა რიტორიკა გვაქვს რუსეთთან, მთავარია, რა ხდება სინამდვილეში. გაფუჭებულია ურთიერთობა, მაგრამ „ბილაინი“ შემოვიდა საქართველოში.

/ თუ თქვენი საუბრიდან გამომდინარე დავასკვნით, 2008 წელი საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით არცთუ სახარბიელო იქნება.

/ 2008 წელი იქნება საკმაოდ რთული წელიწადი. ერთი არჩევნები, ავად თუ კარგად, გადავაგორეთ, წინ საპარლამენტო საპარლამენტო არჩევნები გველის. პრეზიდენტს პარლამენტში თავის თავის უმრავლესობა სჭირდება, მათ გასაყვანად კი არანაირი სხვა მექანიზმი, გარდა სოციალური პოპულიზმისა, არ არსებობს. ამიტომ იქნება კიდევ ბევრი დაპირებები, ეცდება ბევრი ჩურჩხელა დაურიგოს ხალხს, რომ მათი გული მოიგოს, შესაბამისად იქნება ინფლაციური წნეხი ეკონომიკაზე. ვიცით, რომ იცვლება მინისტრთა კაბინეტი, შეიძლება მასში აღარ იყოს ბენდუქიძე და სხვა არაპოპულარული სახეები, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არა აქვს იქნება თუ არა ბენდუქი)ე, რადგან ჩვენ დღეს უკვე სახეზე გვყავს მისი გზის გამგრძელებელი პრემიერ-მინისტრი. ამიტომ 2008 წელი ჩემში დიდ იმედებს ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, ნამდვილად არ იწვევს.

ესაუბრა თეა ასათიანი